ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის
ოქმი N3

დაბა ქედა 30 აგვისტო, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე -კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

გოჩა ჟღენტი - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

30.08.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
6	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
7	გოჩა ჟღენტი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

1. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარე - მერაბ ნაკაშიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (განცხადების ნომერი 12-95231494-95, განცხადების თარიღი 29.05.2023).

მომხსენებლმა განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებული 45,8 კვ. მეტრი (ს/კ 21.03.33.016.01.521) არასაცხოვრებელი ფართის დროებით (15 წლის ვადით) სარგებლობაში გადაცემა. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ როგორც თქვენთვის ცნობილია, არასამთავრობო ორგანიზაცია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით 2021 წლიდან დღემდე ზემოთაღნიშნულ 45.8 კმ ფართობის მქონე სივრცეში (ს/კ 21.03.33.016.01.521) მოეწყო ციფრული წიგნიერების ცენტრი, ხოლო შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრსა“ და „თბილისის ფოტო ფესტივალისა და ვიზუალური განათლების ცენტრს“ შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე 2023 წლის 19 მაისს დაფუძნდა ვიზუალური განათლების ცენტრი ,,ქედის მედიათეკა“. ციფრული წიგნიერების ცენტრისა და ქედის მედიათეკის გახსნის შემდგომ სულ აღნიშნულ ფართში ჩატარებულია 50 ტრენინგი და გადამზადებულია 850-მდე მსმენელი. ციფრული წიგნიერების ცენტრი, რომელშიც მოწყობილია საკონფერენციო სივრცე ხელმისაწვდომია როგორც სამათავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

ზემოთ აღნიშნული სივრცის გამართულად მუშაობისთვის და შესაბამისი დამატებითი ინვენტარის შესაძენად მიზანშეწონილია მოთხოვნილი 45,8 კვ. მეტრი ფართი ირიცხებოდეს შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს

ბალანსზე. რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენს 4500,0 ლარს.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (განცხადების ნომერი 12-95231494-95, განცხადების თარიღი 29.05.2023).

მომხსენებელმა განმარტა, რომ 2022 წლის კულტურული ღონისძიებების პროგრამული ბიუჯეტის (კულტურის განვითარების ხელშეწყობა) ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) შეძენილ იქნა საშობაო ნაძვის ხე, რომლის ღირებულებაა 141 600 (ასორმოცდაერთიათასექვსასი) ლარი. საშობაო ნაძვის ხის მონტაჟსა და დემონტაჟს, ასევე სხვადასხვა დეკორატიული განათების მოწყობილობების მონტაჟს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახდენს შპს „ქედის „კომუნალსერვისი", რომელსაც საკუთრებაში გააჩნია შესაბამისი ტექნიკა. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია შპს „ქედის „კომუნალსერვის"-ის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, ნაძვის ხე სათამაშოებით, აქსესუარებით და განათებებით, რათა შემდგომში უზრუნველყოს მისი დასაწყობება, მოვლა-შენახვა, მონტაჟი და დემონტაჟი.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ციური ზაქარაძე